ხელშეკრულება №05/03

6 მაისი 2011 წელი

ქ.ონი

ერთის მხრივ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულო (შემდგომში შემსყიდველი), მდებარე ქ.ონში დავით ადმაშენებლის მოედანი №1, წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის შალვა ჯაფარიძის სახით, ხოლო მეორეს მხრივ ი/მ "გიორგი ბერიშვილი" (შემდგომში მიმწოდებელი) ვდებთ მოცემულ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მოემსახუროს ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამსახურს ავტომანქანის მიმდინარე რემონტით.

1.2 შემსყიდველი უნაზღაურებს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოების ღირებულებას, ხელშეკრულების მე-6 , მე-7 და მე-8 მუხლის შესაბამისად.

2. სტანდარტები

2.1 ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაოები უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფო სტანდარტებს.

3.სამუშაოს შესრულების პირობები

4.1 სამუშაოების შესრულების ვადებში ცვლილებების შეტანა დაუშვებელია მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

4.2 ხელშეკრულების გათვალისწინებით მოემსახურება 2012 წლის 1 იანვრამდე

5.შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, თუ ხელშეკრულების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

5.2 შესყიდვის ობიექტის ჩაბარება ხდება შესრულებული სამუშაოების შესახებ შედგენილი აქტის საფუძველზე.

6. ანგარიშსწორება

6.1 წარმოადგენს დეფექტური აქტს, ხოლო სამუშაოს შესრულების შემდეგ მიღება-ჩაბარების აქტს და ანგარიშ-ფაქტურას (ზედდებულს) თანდართული ფორმით, ამის შემდეგ 10 დღის განმავლობაში მოხდება ანგარიშ სწორება.

7. ანგარიშსწორების ვალუტა

7.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში

8.ხელშეკრულების სახარჯთაღრიცხვო ღირებულება

8.1 ხელშეკრულების სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენს 1000(ერთიათას) ლარს.

8.2 ხელშეკრულებაში მითითებული ფასების შეცვლა დასაშვებია მხოლოდ იმფლაციის მაღალი დონის ან საგადასახადო რეჟიმის ცვლილების შემთხვევაში 10%-ს ცვლილების ფარგლებში.

9.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არაეითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების შესრულება, ამ მხარემ წერილობით უნდა აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე ვადაში უნდა აცნობოს თავისი გადაწყვეტილება მეორე მხარეს, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.2 იმ შემთხვევაში თუ მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

---

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები: სამუშაოთა შესრულების გრაფიკიდან 10 დღის ჩამორჩენის შემთხვევაში შემსრულებელს დაეკისრება ჯარიმა სახელშეკრულებო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით. შემსრულებელი თუ 20 დღის განმავლობაში არ აღმოფხვრის გრაფიკიდან ჩამორჩენას შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.
11.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე ნხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
12.2 ფორს-მაჟორული გარემოებები შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებებისამებრ , მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობებისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა მოლაპარაკების გზით მოაგვარონ უთანხმოება.
13.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30(ოცდაათი) დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეძლებენ სადაო საკითხების მოგვარებას მაშინ მათ უფლება აქვთ დადგენილი წესის მიხედვით მიმართონ სასამართლოს.

14. გადასახადები და დაბეგვრა

14.1 მიწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

შემსყიდველი:

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე:

/შალვა ჯაფარიძე/

ქ.ონი დ.აღმაშენებლის მოედანი №1

ს/კ 237978275 ანგ.№ GE62LB0120115527055000
სს "ლიბერთი" ბანკის ონის ფილიალი
ბ/კ 220101449

მიმწოდებელი:

ი.მ. „გიორგი ბერიშვილი"

/გიორგი ბერიშვილი/
პირ.№34001002621
ქ.ონი, ბარათაშვილის ჩიხი №3

ს/კ 34001002621 ანგ.№ GE21LB0112133855321700 0
სს "ლიბერთი" ბანკის ონის ფილიალი
ბ/კ 220101449